

ბლანტი დრეკადობის ბრტყელი თეორიის ერთი ამოცანის  
შესახებ წერილი ფირფიტისათვის მრავალკუთხა ხვრელით

გიორგი კაპანაძე

განხილულია ბლანტი დრეკადობის ბრტყელი თეორიის ამოცანა წერილი ფირფიტისათვის მრავალკუთხა ხვრელით კელვინ-ფოიგტის მოდელის საფუძველზე. იგულისხმება, რომ ფირფიტის გარე საზღვარზე მოქმედებენ ნორმალური მკუმშავი ძალები (წნევა), ხოლო ხვრელში ჩადგმულია შედარებით დიდი ზომის ხისტი შაიბა ისე, რომ საზღვრის წერტილთა ნორმალური გადაადგილებები ღებულობენ მუდმივ მნიშვნელობებს და ხახუნის ძალები ნულის ტოლია.

კონფორმულ ასახვათა და ანალიზურ ფუნქციათა სასაზღვრო ამოცანების თეორიის მეთოდების საფუძველზე საძიებელი კომპლექსური პოტენციალები აგებულია ეფექტურად (ანალიზური ფორმით). მოყვანილია აღნიშნული პოტენციალების შეფასება კუთხის წვეროების მახლობლად. განხილულია ზღვრული შემთხვევები (მართკუთხედი, სწორხაზოვანი ჭრილი).